

ლიტერატურული გზეუტი

№3 (139) 13 - 26 თებერვალი 2015

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



არქიმანდრიტი ადამი

**ჯემალ
თოფურიძე**

II-III

ივანე
ამირხანაშვილი

**ქართველ
პოეტებს**

V-VI

ანდრო ბუაჩიძე

**ახალ
წიგნებს**

VII

მანანა დუმბაძე

ნინო
სადღობელაშვილი

**გაბრიელ გარსია
მარკესი**

VIII-IX

ნინო ვახანია

**როსტომ
ჩხეიძე**

XII

სოფიო წულაია

**გათუ
დანელიაზი**

XII-XIII



ლელა მეტრეველი

აღსარებასავით თავისმართლება

რა მოხდა მერე, თუ არა ვარ თაფლივით ტკბილი, მაინცდამაინც ვერ ვენწყობი თუ არმალანებს, თუ სამყაროსთვის ვარ ნამცეცხა მცოცავი მდილი და ხვალ, არ ვიცი, ბედის ეტლი სად გამაქანებს.

რა მოხდა მერე, თუ შიგნით ვარ ჩაბრუნებული, სიტყვით არა და, ერთგულებით მიექიშია, თუ დღეს ბანძობად შერაცხული, დავინწყებული, მე — ლექსთან ერთად — სიგიჟემდე მიყვარს ქიმია.

რა მოხდა მერე, თუ არ მიცნობს ქვეყნად არავინ, თუ ვერ ვაკეთე, რისიც მნამდა, რაც შემშვენოდა... სიძულვილს არა, მე სიყვარულს მუდამ ვმალავდი, მტკივანი გული უფრო მეტად რომ არ მტკენოდა.

რა მოხდა მერე, თუ სულ ქარის პირისპირ ვივლი, თუ ეს სანუთრო აღარაფრით არ გამახარებს, გულში მაინც არ დამიჭკნება ყვავილი შლილი და, ვინც ღირსია, მას მიუძღვნე მე არმალანებს.

შელამებაა. გულში კი მაინც ჩაუქრობელი ცეცხლი ბრიალებს. ნეტავი, გზად ვის გადავყვები, ნუთისოფელში მობორიალე?!

თუ მომანვიან მაისის ვარდებს (ლენცოფა ბლომად შემხვდა ისედაც!), თუ გადიქცევა ჩემი ლექსები უცნობი გოგოს ცრემლის მიზეზად?!

მე თუ მჭირდება, არვის ვახსოვარ, ვისაც ვჭირდები, ირგვლივ ტრიალებს. ნეტავი, ვინმე თუ გამისხენებს მერე, სულეთში მოხეტიალეს?

გამოსავალი

გამოსავალი არის, ვიპოვე, — განა შორიდან ვერას გიშველი?! ძაფად ჩამოვრთე და მოგიქსოვე მოგონებების თბილი სვიტერი.

მხოლოდ უცქერენ, არავინ ათბობს, — ამოვარდნილი ბეჭდიდან თვალი.

გამოსავალი

ლექსი შენთვის, ალბათ, აქამდეც უნდა მომეძღვნა, თუნდაც იმიტომ, რომ ლექსის წერის უნარი შენგან დამყვა. მე კი უფრო დედაზე ვწერ, რომელსაც არასოდეს, არასოდეს წაუკითხავს ჩემი რომელიმე ლექსი (მე თვითონ ვმალავდი!). ახლა უცებ გამახსენდი და შენი შემშურდა... რა ბედნიერი იყავი ჩემთან შედარებით: მთლიანი, გაუზზარავი, დაუფეხებელი. შენ შეგეძლო, საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებულს და ამით ამყეს, გაჭირვებაშიც უსინანულოდ გეცხოვრა, მე კი ხშირად მაეჭვებს, ჩემი ძალა თუ სისუსტე პატიოსნება... მაეჭვებს, უნდა მიყვარდეს თუ არა ქვეყანა, რომელსაც არც ერთი ჩვენნი არ უყვარს (და მაინც მიყვარს და მინდა, სამშობლოდ მექცეს!). ხანდახან მინდა, შაჰიდი ვიყო და ტელესტუდიებიდან მოკეკლუცე მედროვეებთან ერთად თავი ავიფეთქო, —

იქნებ ასე მაინც მივანვინო ქვეყანას პროტესტის ხმა: — ხალხო, რაღაც რიგზე ვერ არის, ვერ არის, ვერ არის... (კი არ მეშინია, უბრალოდ, წინასწარ ვიცი, ამასაც არ ექნება აზრი). მერე ვფიქრობ: იმათაც ეს უნდათ... და ლექსის ან ქიმიის ამოცანის თხზვას ვუბრუნდები, რომლებიც ასევე ხშირად მაეჭვებს (სჭირდება კი ვინმეს?!). და ვწუხვარ, რომ ველარასოდეს ვიქნები მთლიანი, დაუფეხებელი, გაუზზარავი...

(არა)ზნადაპირული შთაბეჭდილება

რა ადვილია ჟურნალისტობა: ყველაფერზე წერ, ყველაფერზე ლაპარაკობ, დაახლოებით, აი, ასე: „არ შეიძლება მანქანაში ბოთლით დატოვებული წყლის დაღევა. სითბო რეაქციაში შედის ქიმიურ მინარევთან და კიბოს აჩენს“.

რა ადვილია ჟურნალისტობა: აქეთ თუ ხარ, ყოველ სამინისტროსა და საჯარო მოხელეს გააკრიტიკებ, ვინმე პასუხს გაგცემს და — მაშინვე სიტყვის თავისუფლების ხელყოფაზე ალაპარაკდები. იქით თუ გადახვები, ხაზინის ქურდსაც კი მამა აბრამის ბატკნად მოაჩვენებ ხალხს და სულ არ დაეჭვდები, — იქნებ ვინმეს ახსოვს, აქეთ ყოფნისას რას ამბობდი.

რა ადვილია ჟურნალისტობა: ლოგიკური აზროვნებაც კი არ გჭირდება, დანერ მყვირალა სათაურს, შინაარსს სრულიად რომ არ შეესაბამება და სტატია გახდება გაყიდვადი (ესეც შენეული ტერმინია!), თუმცა გულისამრევი.

რა ადვილია პოეტობა: მით უმეტეს, თუ ჟურნალისტი ხარ, — გადაცემას გააკეთებ, ან დანერ, რომ X გამომცემლობა და ლიტერატურული პრემიის Y ჟიური სასარგებლო საქმიანობას ეწვეიან. სამაგიეროდ, ისინი წიგნს გამოგიცემენ და პრემიას მოგანიჭებენ.

რა ადვილია პოეტობა: დანერ რაიმე ასეთს, მე რომ ახლა ვწერ, ოღონდ ბუნდოვნად, — რაც მეტად ვერ გაიგებენ, მით უფრო მოეწონებათ, რაც უფრო ცუდად დანერ, მით მეტი ფანი გეყოლება.

რა ადვილია პოეტობა: შეიკრიბებიან ზემოსხენებული ფანები, მოგინებენ სალამოსა თუ შუადღეს, შენც ჭკვიანური სახით ილაპარაკებ იმათ უსამართლობაზე, ვინც რაიმე საკითხი შენ სასარგებლოდ არ გადანყვიტა, ან იმათ სამართლიანობაზე, ვინც საკითხი შენ სასარგებლოდ გადანყვიტა. მერე დაგერქმევა ობიექტური ან პრინციპული, ან ორივე ერთად.

რა ადვილია პოეტობა: დანერ სამშობლოზე და სარწმუნოებაზე, — ყოველად უნიჭოდ, მაგრამ ყველას ეგონება, რომ შენი ლექსის კრიტიკა იგივე სამშობლოსა და სარწმუნოების კრიტიკაა, ამას კი ვინ გაბედავს?!

რა ადვილია პოეტობა: სამშობლოზე და სარწმუნოებაზე თუ არ გინდა წერა, უხამსი სიტყვები ხომ მაინც გეცოდინება, — გამოიყენებ ლექსში ერთი-ორს და მაშინვე ნოვატორს, ნიჭიერსა და გამბედავს დაგარქმევენ, ტელეეარსკვლავობაც გარანტირებული გექნება.

რა ადვილია იურისტობა: ადვოკატი ხარ? გამოხვალ და იტყვი, რომ შენს კლიენტთაგან არავის არაფერი დაუშავებია, ჩვენ მხოლოდ გვეჩვენებოდა. პროკურორი ხარ? მშიერ ბავშვს ერთი პურის მოპარვისთვის ციხეში გაუშვებ, მილიონების მომპარავეები კი გარეთ დაგრჩებიან. მოსამართლე ხარ? მტყუან-მართლის გარჩევის ნაცვლად, სახელმწიფოს მხარეზე დადგები და ერთგულად უადვოკატებ. მერე რა, რომ შენი გადანყვიტებელი ულოგიკო და უზნეოა. მაინც უნდა გენდოთ... შენ ხომ მანტია გაცვია.

რა ადვილია იურისტობა: გახდები რომელიმე უფლებადამცველი ორგანიზაციის წევრი, თუ მთავრობა გატერორებს, ხმას არ ამოიღებ, თუ არა და, გაუჩერებლად ილაპარაკებ მის შეცდომებზე, დაატრიალებ ჭიქა წყალში ქარიშხალს და ქართველებს მიანერ დედამინის ზურგზე არსებულ ყველა ცოდვას, თითქოს საკუთარი არ გეყოფინდეს.

რა ადვილია ქიმიკოსობა: მთავარია, რომელიმე უნივერსიტეტში გულმემატიკივარი გყავდეს და დისერტაციას სწრაფად გამოაცხობ, ლექციებსაც წაიკითხავ, მერე რა, რომ ვერც ქიმიას ასწავლი ვინმეს და ვერც — ადამიანობას.

რა ადვილია ქიმიკოსობა: საკმარისია, მამრობითი სქესის იყო, — შენზე გაცილებით ნიჭიერ ქალებს ადვილად მოიტოვებ უკან — შენ ხომ გაზის ბალონების თრევა შეგიძლია.

რა ადვილია ქიმიკოსობა: მოკალათდები რომელიმე თბილ ადგილზე, შემოიკრებ ოჯახის წევრებს, მედროვეებსა და მლიქვნელებს, ზედაც არ შეხედავ პროფესიონალებს, სამაგიეროდ, მთელი სიცოცხლე უზრუნველად იცხოვრებ (თუმცა, ასე მარტო შენ ხომ არ ცხოვრობ?!).

რა ადვილია ქიმიკოსობა: თუნდაც სულ არ იყო ქიმიკოსი, თუ მოუნდათ, ისე გაგაპიარებენ, შენი დროის ყველა ქიმიკოსზე წინ აღმოჩნდები (თანამდებობრივად, რა თქმა უნდა!).

ეს — ვინც ზედაპირზე ტივტივებს და ჩანს, იმაზე ვთქვი, მაგრამ იმათ რა ვუთხრა, ვისაც სიღრმეში შეუხედავს და ეჭვი ღრღნის: მართლა ასე ადვილია ჟურნალისტობა, პოეტობა, იურისტობა, ქიმიკოსობა?!

P.S.
ნუ გამკიცხავ, მკითხველო, — ეს ლექსი არ არის, ეს „მანქანაში დატოვებული ბოთლით“ ინიცირებული ჯაჭვური რეაქციაა.

ფშაპში, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიან მხარეში, რომის კულტურა. ვისაც უნდა, რომ მოუსმინონ, სათქმელს ლექსად ამბობს. ფშაველები ფაქტობრივად რთიმებით საუბრობენ. ამ სალექსო რეჩიტატივს „კავიას“ უწოდებენ.

პირველი, რასაც ლექსში ეძებს ფშაველი, ეს არის ევრისტიკული ეფექტი — აღმოჩენა, მიგნება, დანახვა აზრისა, რომელიც სხვა შემთხვევაში დაფარული დარჩებოდა.

არის „კავიასი“ რაღაც ძველთაძველი, მუდმივი, არქეტიპული, და, ამავე დროს, რაღაც კოლექტიური ცნობიერების გამოხატულება.

კოლექტიურ ცნობიერებას ან ლექსი ქმნის, ან ფილოსოფია.

ქართველმა კაცმა აირჩია ლექსი ანუ ის ინტელექტუალური მდგომარეობა, რომელსაც „თავისუფალ გონებას“ უწოდებენ.

ქართული აზროვნების ტიპი პოეტურია. შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ ფილოსოფიას ჩვენში წვეტილი, განვითარების არათანაბარი ისტორია აქვს.

ქართული კულტურა დასავლურ-აღმოსავლურ ცივილიზაციათა გასაყარზე ვითარდებოდა და ამიტომ უწევდა ბრძოლა თვითმყოფადობის დასაცავად. ბრძოლის მთავარი იარაღი იყო ენა, სახლი ეროვნული ყოფიერებისა.

ძველი ნელთარძის III საუკუნეში ფარნავაზ მეფემ ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა და შემოიღო დამწერლობა. ამ პერიოდთან მოყოლებული ქრისტიანობის ხანაში ქართული ტექსტები არ შემოგვრჩენია, თუმცა აშკარაა, ქართველები ქმნიან ლიტერატურას. რომის იმპერატორის მრჩეველი კულტურის დარგში, იპოლიტე რომაელი (170-235) თავის ქრონიკებში აღნიშნავს, რომ ქართველები თავიანთ ენაზე წერენ ნიგნებს.

326 წელს ქართლის მეფე მირიანმა ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა, რამაც სათავე დაუდო საქართველოს ლიტერატურულ ისტორიას.

ქრისტიანობამ კარგად აითვისა წარმართობის დროინდელი კულტურა. მაგალითად, მზისა და მთვარის წარმართული კულტები ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის კულტებად გარდასახა. მთაში დღესაც არის შემორჩენილი წარმართული ქრისტიანული სიმბოლო.

ქართული პოეტური ენერგია დიდხანს მალავდა თავს საეკლესიო მწერლობის ნიაღში. წმინდანთა ცხოვრებასა და ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში ხშირად გაკრთება რელიგიური დისკურსიდან კალმასხივით ამოვარდნილი პოეტიკური, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლირიკა არაფორმალურ ვითარებაშიც ინარჩუნებდა ავტონომიურობის სულისკვეთებას და თავის დროს ელოდა.

„მე დღესა დავუღამდებ“ — იტყვის მომაკვდავი წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი. განსაკუთრებული მოვლენის გამოთქმა პოეტური პარადოქსით გადაწყვიტა IV საუკუნის ავტორმა; X საუკუნის ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი ქრისტეს მიცვალებას წმინდა პოეზიის ენაზე გადმოსცემს: „ვითარცა ლომთან მიყრდნობით მიიძინა“.

გამონაკლისს აქვს წესად ქვეყნის ინტენცია. ექვსი საუკუნის განმავლობაში ისმენდა ქართველი აუდიტორია საეკლესიო საგალობლებს და ბოლოს დადგა კრიზისის დრო. ჰიმნოგრაფი ან უნდა გაჩუმებულიყო და გადასულიყო ფილოსოფიაში ან დაეწყო სხვა ჰანგზე მეტყველება და გამხდარიყო პოეტი.

ქმნადობის სულმა თავისი გაიტანა. გამონაკლისი წესად იქცა. უკუპერსპექტივა შეცვალა პირდაპირმა პერსპექტივამ.

X საუკუნეში საქართველოშიც იწყება პოეტური პროცესი, რომელიც პარალელურად მიმდინარეობს ირანში, ინდოეთში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. ამ პროცესს, მეტი გამოხატულებისათვის, აღმოსავლური რენესანსი უწოდებს. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული ნოვაციის მთავარი თვისება ჰუმანიტური მსოფლმხედველობა იყო.

XIII საუკუნის დასაწყისში იწერება შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მსოფლიო მნიშვნელობის სარაინდო თხ-

ზულება, რომელმაც საუკეთესოდ გამოხატა ქართული სულის რაობა.

შემთხვევითი არ არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა თამარ მეფის ეპოქაში, „ოქროს ხანაში“, როდესაც საქართველომ თავის ისტორიაში არნახულ განვითარებასა და სიძლიერეს მიაღწია.

რუსთაველის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ქართული კულტურის ნიაღში, რომელიც ქრისტიანულ იდეოლოგიასთან ერთად აერთიანებდა იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების მიღწევებს. ქართული ფილოსოფია კი მაშინ ეყრდნო-

ივანე ამირხანაშვილი

სად არის ქართული პოეზია?



ბოდა სამ „ვეშაპს“: ფსევდო-დიონისე არ-ეოპაგელის თეორიას, ნეოპლატონიზმსა და ძველ ბერძნულ ფილოსოფიას.

რუსთაველმა შექმნა ფსიქოლოგიური სიმართლით აღსავსე გმირთა სახეები, რომლებიც განსახიერებენ ყოვლისმომცველ სიყვარულს — ცოცხალი ენერჯის უმაღლეს გამოვლინებას.

რაც შეეხება ენას. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული პოეტური ენის განვითარების უმაღლესი მწვერვალი. არც მანამდე და არც შემდეგ ქართულ ენას ესოდენი სრულყოფისთვის არ მიუღწევია. რუსთაველი მისწვდა ქართული ენის გენიას. ჰიმნოგრაფიისა და ხალხური ლექსის ელემენტთა სინთეზის შედეგად მან შექმნა დახვეწილი პოეტური ფორმა, თექვსმეტმარცვლიანი სტროფი, ერთგვარი პარადიგმა, რომელიც ექვსი საუკუნის განმავლობაში უპირობოდ ბატონობდა ქართულ პოეზიაში.

რუსთაველის ტოტალური გავლენიდან გვიან, მე-18 საუკუნეში, გამოვიდნენ პოეტები. ეს შეძლეს დავით გურამიშვილმა, რელიგიურ-მისტიკური მიმართულების პოეტმა, რომელიც თავისი ხასიათით უახლოვდება პერეორომანტიზმის სტილს და ბესიკ გაბაშვილმა, სატრფიალო-ეროტიკული მანერის პოეტმა, რომელმაც ენის მუსიკალური მხარე უაღრესად მაღალ დონეზე განავითარა.

რომანტიზმმა დროულად, მე-18 საუკუნის ბოლოს მოუკაუნა ქართულ ლიტერატურას, მაგრამ კლასიკურ ფორმად ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, როდესაც ცხადი გახდა, რომ საქართველო თავს ვეღარ დააღწევდა რუსეთის იმპერიის ბატონობას. ინტელექტუალურ ელიტაში საონარკვეთილების მოტივებმა იმძლავრა, რამაც საუკეთესო გამოხატულება პოეზიაში ჰპოვა. რომანტიზმი ეროვნული გულგატეხილობის სულიდან იშვა. პოეტები ერთი სპეციფიკური ნიშანი ახასიათებს — გაორებული არიან, საქმით დამკვირვებელს ემსახურებიან, სიტყვით საშობლოს უბედურებაზე მოთქვამენ. პირველი ასეთი

რომანტიკოსია გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც ტრიუმფით შევიდა პარიზში 1815 წელს, როდესაც მოკავშირეების არმიამ ნაპოლეონი ჩამოაგდო ტახტიდან; მეორე — ინჟანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ჩრდილო კავკასიელთა წინააღმდეგობის ლიდერის, შამილის, დამხობაში დაეხმარა რუსებს. ერთადერთი და ჭეშმარიტად მთლიანი, გაუზზარავი, მონოლითური შემოქმედია ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის სამსახური სასამართლო კანცელარიის კედლებს არ გას-

რომელსაც საქართველოს უგვირგვინო მეფედ მიიჩნევდნენ. ეს ფაქტი გახდა წყაღამყოფი ძველსა და ახალ დროებას შორის. ქართველები მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. დამთავრდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის თეორიულ-რომანტიკული ხანა. დაიწყო ბრძოლის პრაქტიკულ-პოლიტიკური ეტაპი, რომელიც 1918 წელს, სრულიად მოულოდნელად, საქართველოს რესპუბლიკის შექმნით დაგვირგვინდა. საქმე ის არის, რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს რუსეთში მოხდა რევოლუცია, მეფე ჩამოაგდეს, შექმნილი პოლიტიკური ქაოსით ისარგებლეს იმპერიის ეროვნულმა მხარეებმა და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, რომელიც გახდა დედაამის ერთ მეექვსედეს გადაჭიმული ახალი იმპერიის, საბჭოთა კავშირის, შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთი თხუთმეტ რესპუბლიკათაგანი.

საბჭოთა კავშირს არ გამოუვიდა მარქსისტული უტოპიის — კომუნიზმის აშენება, სამაგიეროდ, შექმნა ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც გამოიხატებოდა სამი „ტ“-ით: ტოტალიტარიზმი, ტირანია, ტერორი.

კომუნიტური მმართველობის 70-წლიან პერიოდში ქართულმა პოეზიამ ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ გაძლო, რადგან მას აღმოაჩნდა მთავარი — თვითგადარჩენის ინსტიქტი.

ახალი პოეზიის დაბადება XX საუკუნის 10-იან წლებს უკავშირდება. მოდერნიტული სულისკვეთება, რომელიც სიმბოლისტური განწყობილებები ჭარბობდა, დაუპირისპირდა XIX საუკუნის რეალისტურ შაბლონს, რომელსაც მანამდე მტკიცედ ამაგრებდა აკაკი წერეთლის ავტორიტეტი.

მოდერნიზმის „სახარება“ საქართველოში გრიგოლ რობაქიძემ იქადაგა, მაგრამ შაბლონი საბოლოოდ გალაკტიონ ტაბიძემ, უთარგმნელმა გენიოსმა გაანადგურა.

ბევრი რამ შესძინა ქათულ პოეზიას „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულმა ორდენმა, რომელიც 1915 წელს ქუთაისში დაარსდა და შემდეგ თბილისში გადმოინაცვლა. პაოლო იაშვილმა, ტიცვიან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ და მათმა ძმებმა გამოაცოცხლეს კულტურული ცხოვრება, დაიწყეს ქართული ეროვნული აზროვნების რესტავრაცია, ადაღინეს პოეზიის კულტი, დაადგინეს ფასეულობათა შკალა და განსაზღვრეს გემოვნების კრიტერიუმები, და, რაც მთავარია, მხატვრული და ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, სრულიად განახლეს ქართული ლექსი.

ისინი თავს სიმბოლისტებს უწოდებდნენ, მაგრამ ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ მოდერნიტულად განწყობილ თაობას, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართული ლექსის გამართვა „ევროპის რადიუსით“ (ტიციან ტაბიძე).

რამდენიმე წლის განმავლობაში სრული პოეტური ბუმი იყო საქართველოში. შეჯიბრებებსა და ურთიერთდაპირისპირებაში მკვიდრდებოდა ქართული ავანგარდი: სიმბოლიზმი და ფუტურიზმი, იმაჟიზმი და ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი და მოდერნიზმი.

ალბათ პარადოქსია, გაერთიანებათა ზეობის ხანაში ყველაზე დიდი სახელი ინდივიდუალისტებმა მოიპოვეს. არც ერთ ორდენს არ ეკუთვნოდნენ გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, მაგრამ საკულტო პოეტებად იქცნენ. გალაკტიონი თავისი უაღრესად დახვეწილი, ჰაეროვანი ლექსით. ტერენტი გრანელი მისტიკური ხილვებითა და ეგზისტენციური სევდით. გალაკტიონ ტაბიძე აღიარებულია XX საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტად, რომელიც თავისი სტილისტიკით პოლ ვერლენს მოგვაგონებს, მაგრამ, სამწუხაროდ, „უთარგმნელია“, უცხო ენაზე არ გადადის მის მიერ მიგნებული ქართული ენის მელოდური ნიუანსები. ტერენტი გრანელი, „დაწყველილი პოეტი“, ქართულ პოეზიაში დაახლოებით არის ის, რაც პოლდერლინი გერმანიაში, მანდელშტამი რუსეთში ან დინო კამპანა იტალიაში.

1907 წელს პოლიტიკურმა მონიანადმდეგებმა მოკლეს პოეტი და რუსეთის საათბიროს დეპუტატი ილია ჭავჭავაძე,





© Belinda Witzhausen 2012

"Unfortunately many young writers are more concerned with fame than with their own work. It's much more important to write than to be written about."
~Gabriel Garcia Marquez

დროდადრო ესპანეთის სანინაალმდეგო ლოზუნგებს გაჰყვიროდა... 20 ივლისს, სამ საათზე თუთიყუშმა სახლი სასონარკვეთილი ყვირილით გააყრუა:

— ხარი, ხარი! ხარი მოდის!
სახლში მხოლოდ ქალები იყვნენ. მამაკაცები კორიდის დღესასწაულზე გაკრეფილიყვნენ. ყურადღება არავინ მიუქცია... კორიდის ფიცრული სადგომიდან გამოქცეული შემოიღო ხარი სამზარეულოში გემივით შემოიჭრა და ავეჯი და ქვაბები გაცოფებული ბლავილით მიღწე-მოღწეა. ხელი მტაცეს, ციმციმ ამიყვანეს და საკუჭნაოში ჩამკეტეს. მოულოდნელად ხარმა სავენტილიც სარკმელში დრუნჩი შემოყო, ცხელი ჰაერი ამოისუნთქა და დიდი თვალბით ისე შემომხედა, რომ სისხლი გამეყინა".

ესეც ხარის სისხლიანი თვალბით, რომლითაც მან მარკესის ცნობიერში რაღაც ახალი და იდუმალი სამყარო შემოაშუქა. მხიარულ დრამაში და ერთკვირიან ზეიმში გადაზრდილი ეს პირველი შოკი კიდევ ბევრჯერ და ათასნაირად შეახსენებს თავს გაბრიელ გარსია მარკესს, რომლისთვისაც ცხოვრება თანდათან დაკარგავს რეალობის სიმკვრივეს და ერთმანეთში უნატიფესი მისტერიით აირევა ცხადი და გამოგონილი...

თითო ის ფაქტიც კი, თუ როგორ ენი-ნაალმდეგებოდა ოჯახი მის მწერლობას, როგორც ყოვლად უსარგებლო, დროის მფლანგველ საქმიანობას, გამორჩეული სიყვარულით ნაბიძგებ კონფლიქტადაა ქცეული და მწერლის ავტობიოგრაფიულ ხილვებს მთლიანად მსჭვალავს, მეტიც — თითქოს ეს ამბებია ნიგნი სულაც იმიტომ ინერება, რომ ბოლოს და ბოლოს მშობლებს და ნათესავებს, თავდაპირველ ოჯახს დაუმტკიცოს, რომ მისგან მართლაც დადგება მწერალი... მამა ხშირად დუმს და, როგორც ხდება ხოლმე, მის აზრებს ოჯახში დედა ახმოვანებს. გაბოც დედის „გავლით“ მამას პასუხობს და ასე იგება სამზომოვანი დიალოგები, რომელთა კონტექსტი დაახლოებით ასეთია:

— ესე იგი, რა ვუთხრა მამაშენს?
— უთხარი, რომ ძალიან მიყვარს და მისი წყალობით მწერალი გავხდები!"

მშობლები სრულიად განსაკუთრებული ტიპაჟები არიან ამ რომანში. არც ერთ გამოგონილ გმირს (არა მხოლოდ მარკესის, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც) ტოლს არ დაუდებენ. მათ საამისოდ ყველაფერი აქვთ — ნარსული, სიყვარული, სიძულვილი, გამჭრიახობა, თვისებურებები, შეხედულებები. მათ მარკესის მომავალი მწერლური საქმის თუ ცხოვრების სხვა ქმედებათა მოტივაცია მტკიცედ განსაზღვრეს. ისინი ბოლომდე დარჩნენ ყველაზე სასურველ, სამომ, მგრძობიარე მკითხველებად, რომელთა წინაშეც მათი შვილის ცხოვრება მისივე ნიგნებით გაადაიშალა.

აი, ერთი მაგალითიც იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დედა-შვილი ერთმანეთის აზრს:

ერთხელ ბავშვობის მეგობრის მკვ-

ლელობამ მარკესში რეპორტიორის ვენბა აღძრა და, იმის მიუხედავად, რომ მოკლული კაიეტანო ხენტილეს — შთაგონებული ექიმის, მგზნებარე მოცეკვავისა და არაერთი ხელობის ოსტატის სიკვდილმა გული ძალიან ატკინა, მაინც ამ მკვლევლობის მთელი რეალობით აღწერა გადანყვიტა. საქმე სიყვარულის გამო ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა და ეს მის განზრახვას რაღაც მარადიულ, სევდიან ელფერს სძენდა. მარკესის განზრახვა დედამისმა შეიტყო და ძალიან სთხოვა, ამ საქმეზე ხელი აეღო, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, ვიდრე მოკლულის დედა ცოცხალი იქნებოდა, რათა კიდევ ერთხელ არ სტკენოდა გული გაზეთის ფურცლებზე გამოქვენებული შვილის ისტორიის ნაკითხვისას... მარკესმა დედის თხოვნას პატივისცა და ორი წელიწადი ითმენდა ამ ფაქტით მოგვირდ დაუნერულ შთაბეჭდილებებს. ოცდაათი წლის შემდეგ კი ეს ამბავი აღწერა ნიგნში „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“. მარკესის დედას ეს ტექსტი არასდროს ნაუკითხავს, ძალიან ბუნებრივი და მხოლოდ ამ უცნაური ქალისთვის დამახასიათებელი ლოგიკის მიზეზით: „ის, რაც ცხოვრებაში ასე ცუდად გამოვიდა, არ შეიძლება ნიგნში კარგად გამოვიდეს“.

აი, ასეთები არიან მარკესის ადამიანები — ოჯახის წევრები, ნათესავ-მეგობრები, ახლობლები, მეზობლები და ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე, ვისაც ერთი ნაბიჯით მაინც გადაუკვეთავს მისი თავგადასავალი — ცხოვრებას ისინი ამგვარად ეყვრობიან, უკიდურესად სერიოზულად და უკიდურესად არასერიოზულადაც. ცხოვრება მათთვის მთავარი სარბიელია, არაფერია მასზე მშვენიერიც და შემზარავიც, მასზე მართალიც და ტყუილიც, და ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ თავის შექცევას, მხოლოდ ჭრელი ხვეულებია ცხოვრების უშველებელ საფარველზე, რომლის მიღმაც ის ჭეშმარიტი აზრი სუფევს, ის ერთადერთი, მისაგნები და აღმოსაჩენი, რის გამოც დაბადება ღირს...

მარკესისთვისაც ასეთი მნიშვნელოვანი რამ არის ცხოვრება. ალბათ ამიტომაც ოცნებობდა ყოველთვის რეპორტიორობაზე (ნიგნის დიდი ნაწილი ამ პროფესიაში გატარებულ წლებს ეძღვნება), რათა მუდმივად აღწერა, ჩაენიშნა, რათა ყოფილიყო უწყვეტი მთხრობელი და არ გამორჩენოდა არაფერი, ეწერა და ეწერა...

მაგრამ მე მაინც იმ ხარის თვალბის შემოშუქება მგონია ის პირველი ე. წ. კულტურული შოკი, რომლის მეშვეობით მარკესმა ამ ძვირფას ცხოვრებას სხვანაირად შეხედა და რაღაცები კიდევ უფრო მეტად დაინახა... ამასში საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა და სისხლის რწყევამდე შრომა დაეხმარა...

აი, მარკესის მუშაობის ალქიმიცა, მისი დამოკიდებულება ლიტერატურასთან. ცოტა რამ „ლაბორატორიიდან“ — „ვკითხულობდი არა მხოლოდ სიამოვნებისთვის, არამედ იმის დაუოკებელი წყურვილით, რომ აღმოჩენილიყო, როგორ იყო დაწერილი დიდი ნიგნები. პირველად მარჯვნიდან ვკითხულობდი, შემდეგ — პირიქით, ქირუ-

რგის ხელით ვფატრავდი შიგანს, ვიდრე სტრუქტურის ყველაზე დაფარულ მისტიკურებს არ მივაგნებდი. სწორედ ამის გამო ჩემი ბიბლიოთეკა არასდროს ყოფილა იმავდ მეტი, ვიდრე სამუშაო ინსტრუმენტი, სადაც სახელდახელოდ შემოძლია დოსტოვესკის რომელიმე თავი გადავიკითხო, ან იულოუს კეისრის შესახებ ცნობა გადავამოწმო, ან მანქანის მოტორის მექანიზმი გავარკვიო. იდეალური მკვლევლობის ჩადენის სახელმძღვანელოც კი მაქვს, რომელიმე ჩემს დაცემულ პერსონაჟს თუ დასჭირდა“.

უამრავი ციტატის მოხმობა შეიძლება, უამრავი ნაწყვეტის ამოკრება და ცალცალკე მსჯელობა მათზე, თუმცა დიდი საცდურია — იმავდ მეტს მაინც ვერაფერს იტყვი, ვიდრე თავად მარკესი — ცხოვრების შესახებ... რომანთან ამგვარ სიახლოვეს კი კარგი თარგმანიც განაპირობებს. ჰოდა, ორიოდე სიტყვით თარგმანზედაც ვთქვათ — ესპანურიდან ეს ნიგნი ლანა კალანდია თარგმნა და ის ისევე მშვენივრად გაკითხვს თავს, როგორც გაბრიელ გარსია მარკესის დანარჩენი შემოქმედება ნარმოგადგენია შენს ენაზე. ლალი თხრობა, რთული წინადადებებისგან ნაგები აზრების მიუხედავად, მაინც ბოლომდე დაცული შინაგანი სისადავე, სიმარტივე, ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაახლოებს ავტორთან და გიჩნდება განცდა, მასთან ერთად იცხოვრო ის, რასაც ჰყვება.

„ცხოვრება განვლილი დღეები კი არ არის, არამედ ის, რაც გახსოვს და როგორც გახსოვს — იმისთვის, რომ მოჰყვე“ — ეპიგრაფად ნამძღვარებული მარკესის ეს სიტყვები ამავე რომანში ხშირად ნახსენებ ერთ განწყობას ენათესავება — უფრო სწორად, მარკესის ყმაწვილობის დროინდელ, თითქმის პანიკურ შიშს იმისა,


რომ „ცხოვრება არ გაგვწვდებოდა საიმი-სოდ, რაც ჯერ კიდევ სათქმელი იყო“.

ეს დიდი ნიგნიც — „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ — თითქოს იმ ცარიელი ადგილების ამოვსებას ჰგავს, რომლებიც ნიგნიდან ნიგნამდე ცხოვრების ინტერვალში გაჩნდება, რომლებიც თავიანთი მისტიკური შინაარსით ჭეშმარიტად იმსახურებდნენ იმას, რომ ნიგნად ქცეულყვნენ...

მარკესმა თავისი ცხოვრება ნიგნად აქცია, სიტყვებად ააგო. მისი გარდაცვალება ხომ ამ მისტერიის ლოგიკური და ყველაზე ზუსტი დასასრული იყო — მწერლის ცხედარი დანვს, ის ფერფლად იქცა. იმ ცეცხლიდან, რაც ბევრი ათეული წელიწადი ამ ადამიანის სახით ენთო, აუცილებლად ფერფლი უნდა დარჩენილიყო, ერთ მთლიანობაში უნდა შეკრულიყო, რადგან ფერფლი მხოლოდ იქ რჩება, სადაც კოცონი თავის ცეცხლოვან კონებს მოუყრის თავს და მთლიანად აბრიალდება.

ვფიქრობ, რომ ეს ფერფლი მისი მთავარი ნიგნის ბოლო წერტილი იყო. მით უფრო, რომ ნიგნებს სჭირდებათ შინაარსი, რათა დროდადრო გაცოცხლდნენ. ფერფლის შინაარსიც მისივე უკვდავებაა — მის გულში ცეცხლია დამარხული, რომელიც ყოველი ახალი მიკარებისას იღვიძებს.

სწორედ ასე, არა „მარტოობის ასი წელი“, არც რომელიმე სხვა, და არც მით უფრო ეს ბოლო რომანი, სადაც ყველამ და ყველაფერმა დანარჩენმა მოიყარა თავი, არამედ სულ-სულ ბოლო წერტილი, ამ ნიგნთა პატიოსანი ფერფლი — აი ესაა მარკესის მთავარი ნიგნი. მგონია, რომ მას სწორედ ასე ესმოდა ცხოვრება და ის ამით ბედნიერი იყო. სწორედ ასე — იცხოვრო, რომ მოჰყვე. თუნდაც ყველაზე იდუმალი, ყველაზე უცნაური, ყველაზე ცხადი სიზმრები.



სიზმარი

იყო დუმბილი მინდვრებისა... უთვალავ რიგად გარს გულდაწყვეტილ სახეების ჰქროდნენ გროვები, უსწორდებოდა სინამდვილე ჩემს სულს სასტიკად, დევნილ გრძობათა ცივი შუქით ნაოქროვები.

რა უჩვეულოდ, ო, რა ძლიერ მტკიოდა გული! თვალი დამხობილ ოცნებათა ნაფლეთებს ჰკრებდა; ვიმეორებდი რაღაც კითხვას ფიქრით მოცული, მაგრამ პასუხი უსასრულოდ იგვიანებდა.

ვილაც მეძახდა მე თავისკენ, მაგრამ არ ჩანდა, დილის სითეთრეს ჰყავდა იგი მკერდში ჩაკრული, მივიჩქაროდი, მომყვებოდა სევდა შროშანთა და განუწყვეტლივ, უჩვეულოდ მტკიოდა გული.

მისწრაფი ცისკან

მინას რად ახურავს უცხო გვირგვინი ცის — ვინ იცის! ვინ იცის! ვინ იცის! ვინ იცის!

თვით ცაც რას ნატრობს, სხვა ნაყებად მისაქსოვს — ვის ახსოვს! ვის ახსოვს! ვის ახსოვს! ვის ახსოვს!

ბევრჯერ უეცარი სით მოგვევლინა ხსნა — ვინ ახსნა? ვინ ახსნა? ვინ ახსნა? ვინ ახსნა?

ან თავსხმა რად ერჩის ვენახებს მისტყვილს — ვის ეტყვის? ვის ეტყვის? ვის ეტყვის? ვის ეტყვის?

ო, მსწრაფი ცისაკენ, ძირს დაუნვინარი — ვინ არი? ვინ არი? ვინ არი? ვინ არი?

ღინება

არ სცნობს დღესასწაული ცრუ მთავრებს, გვერდს ვერაფრით აუვლი უმთავრებს!

უხმობს შორ სიზმარამდის ბედი ნავს... სულს სწყუროდა მარადის ედინა.

ჰფერავს ჟამთა ნახარში თეთრად ჩანგს, უძველესი ახალშიც მკვეთრად ჩანს,

ზოგჯერ, თითქოს ძლეული, განს რად ჰხვალ? ისევ გიცდის გრძნეული განზრახვა.

არ დავუთმო — ვაპირებ — სახლი დევს, რაგინდ ქარი ნაპირებს მახლიდეს.

დაღლა

დაიღალა დედამინა, გზაში დიდხანს მარები, დაიღალნენ ბილიკები, დაიღალნენ შარები, დაიღალა მაცქერალი აურაცხელ არენის, დაღალნენ სივრცეები, დაიღალნენ მხარენი. დაიღალა: ზღვა, მდინარე, მთები, ტბები, ველები, დაიღალნენ, ველარაფრით მე ვერ მივეშველები. დაიღალნენ ვულკანები — ყრუ განგაში შეწყვიტეს, დაიღალა დღე, აღარ სურს, რომ ღამესთან შეწყვიტდეს. დაიღალნენ სეზონები, ისიც, ვინც მათ მისცა სვლა, დაიღალა მზის ამოსვლა, დაიღალა მზის ჩასვლა, დაიღალნენ ვარსკვლავები, ცაში ნაციმციმები, დაიღალნენ გრიგალები, დაიღალნენ წვიმები, დაიღალა სიხარული, გულებსკენ მავალი, დაიღალა ზვარი, ბალი, რქებ- და რტობებმრავალი დაიღალა ხმელეთი და წყალიც, მას რომ გარს უვლის, დაიღალა მომავალი, დაიღალა წარსული. დაიღალა ცალკეული, დაიღალა მთლიანი, დაიღალნენ ქვეყნები და მათი ისტორიანი. დაიღალნენ საუბრები, დაიღალნენ მზერანი, დაიღალა ვარსკვლავებთან მიმქროლავე მერანი. დაიღალა ბალახი და ფარა, მისი მძოველი, დაიღალა არაფერი, დაიღალა ყოველი. დაიღალნენ ატომები, დაიღალნენ ცნებანი, დაიღალა: ფერი, გრძობა, თარი, სტირი, ებანი, დაიღალა დრო, რაც უზღვავე მართონთა მოწმეა, დაიღალა დაღლილობაც, დაიღალა მოწყენაც. თუმც არც ბრძოლა მოუგიათ, არც დაიდო ზავები, დაიღალნენ, აღარ შესწევთ ძალა მამოძრავები.

ისევ მიცურავს დროის ისარი

სივრცე, რომელიც ამდენ ხნის არი, კვლავ ახალ-ახალ სივრცე-განებს შლის, ცურავს და ცურავს დროის ისარი ჟამის უსაზღვრო ოკეანეში. კვლავ მიჭრიალებს მძიმე ურემი და შიშიც არ კრთის ქარიშხლისადმი, ვარჯზე მატულობს ნაჭდეურები მომხდარ ამბავთა ჩანიშნისათვის.

შალვა საბაშვილი



კრთის სინამდვილე უცნობ ჟესტებით, ანაწილებენ დროს ათასებად, ნაიშლებიან პალიმფსესტები სხვა წარწერების მოსათავსებლად. ამ სიმრავლეში ვერვინ გაიგოს, რაა ადრე და რაა გვიანი, ვერ გავერდებით — უნდა აიგოს კვლავაც ახალი ისტორიანი. ამ სიდიადის გვერდით ვემცრობით, სჩანან ურიცხვნი სიტყვა-საქმენი, მაგრამ ვინაა მათი შემცნობი, მაგრამ ვინაა მათი აღმქმელი? ჯერ აღზევება დაუოკები, შემდეგ წარხოცვა-მონელება სდევს, და ვერ სწვდებიან გრძელი თოკებიც მოვლენებიდან მოვლენებამდე. სულო, თუმც ხშირად ჯვარზე ეკვრები, ბევრჯერ ვერშემძლე პასუხ-მიგების, მაინც შენა ხარ ყოვლის შემკვერელი, მის გამააზრებ-მომწესრიგები. ზეაღმართული ურიცხვ შტოებად, მჭვრეტი ქვეყნიურ დაბლობ-ზეგანთა, ერთადერთი ხარ, უსაზღვროება რაშიც შეკრბა და გასიგრძეგანდა. შენი შუქები მიღმეთს შერთვიან, შენ უთვალავი ფაცერი ჩადგი, შენი დავთარი ერთადერთია, რაიც ყველაფერს დაუთმობს ადგილს. შენ მდინარისპირს მიწყვი ნარიყს ჰკრებ, ყოვლის მძენელი, ყოვლის მომკვლევი, ეს იგივეა — არც მომხდარიყვენ, შენ თუ იმათით არ შეტოკდები. ვინ თქვას, ამბავთა რამდენ ჯგროების გინეცს დახვედრა-გადასტუმრება, სამყაროული უსასრულობის ხარ ერთადერთი დადასტურება. ყოველი დღე და ყოველი ღამე შენკენ მოძრაობს შორეთის დენი, არ ჩაითვლება მომხდარად რამე, თუ არ დატოვა მან შენში ჭდენი! შენი უსტარი ჟამთასვლას ჰყვება, მისი თვალი კი ცას აკვირდება, აჰა, ახალი ციფრების წყება ახალ ციკლების დასამკვიდრებლად, არაფერია გასასხვისარი, — ყველა შენსავე სიღრმე-განებს შლის, როს მისრიალებს დროის ისარი უკიდევანო ოკეანეში.

რაც დამიკარგავს, ის ჩემთან რჩება

მიუღწეველი და უცნობი განსაზღვრავს ნება ზოგიერთ რამეს — თითქოს კარი ტაძარს ხშული აქვს, რაც დამიკარგავს სამუდამოდ — ის ჩემთან რჩება, რაც სულ თან მახლავს — უკვე თითქმის დაკარგულია.

თითქოს ბრწყინავდეს შორ მიღმეთში უცნობი მღვიმე, მისვლა გსურთ, მაგრამ წინ ვერ იწევთ — ლამში ეფლობით; წარმოუდგენლად ნანატრია ზოგი რაიმე თავისი სრული, სამუდამო შეუხებლობით.

სიმაღლეს უფრო ამკვეთრებ

ჟამი მრავალ დღეს ითვლის მსგავსს, არის გაცვლები დასთა: ხან — განშორება რითმისგან, ხან — დაბრუნება მასთან.

როგორი ასარჩევია ამდენ შეხლაში ზავი! თვით მუსიკასაც სწვევია ზოგჯერ შექცევა თავის.

ხან სმენა მიესწრაფება რჩეულ ჰანგთაგან გაცლას, სურს მდოვრ ბგერათა განფენა ჩქარ აკორდების ნაცვლად.

არის მამაცი მზვერავიც ხან სახლის მოიმიდე, ვერა, ვერ შეძლებს ვერავინ — მუდამ იპყრობდეს ქედებს.

ჩაგვითქვეს — გადაგვეწოდა ზოგჯერ მორუხო ბოლი, ამძაფრებს მრავალფერობას ხან ერთფერობის ზოლიც.

კრთის ფიქრთა მოკელაპტრება, მშვენების ამშოლტველი, მეტადაც მოგვენატრება ის, რასაც დავშორდებით.

თუ ზუსტად ამოითქმები და ფრთებსაც მშვიდად იქნევ, ელევანტური რითმები აღარც დაგჭირდეს იქნებ.

ხარ აუნყველი საბადო, ცხადი, ქცეული მითად, ახალ პეიზაჟს დაბადებ პეიზაჟების ცვლითაც.

ერთი და იგივე აკეთე შენ მინორ-მაჟორებით, სიმაღლეს უფრო ამკვეთრებ მისგანვე განშორებით...

ეს პიტალონი

მიიღტვის სული ამ ხედთა გაცლად, თვალი დაღანდავს უცნობ სისტემებს, ჩემი ფიქრები წრფეების ნაცვლად გეოდეზიურ წირებს მისდევენ.

ეს ჰორიზონტი ჯერაც ბაცია, არ ვიცით, მინა რატომ ტრიალებს, შორეთის უცხო გრავიტაცია ჩემს შემოგარენს შეაფრიალებს.

მინდა უხილავ სიშორეს მივწვდე, მზაფრავს სიღრმენიც გამახვევები, ჯერაც არნახულ ნათებებს ვინვევ საგანთა უჩვევ თანახებებით.

ბური ნათდება, ცხადი ინისვლის, ამ ყოველს რითი შეათავსებდი? მე ვიცი: რაც კი სუფევს, იმისი არ დაგვილანდავს მეათასედიც!

კვლავ იმ ჟამში ვართ, დაბადებიდან შორი წყურვილი დამყვა როს ეულს, იდუმალემა დაბედებია გამოვლინებებს სამყაროსეულს.

ეს პიტალონი წყალთა ჩქერების ურიცხვ წყებებით ანალოკია, მე მინდა შევექმნა ყოფიერების სიტყვით ნაქსოვი ანალოგია.

შეპირაზადან მონატრება

ასე მგონია, რომ დამესიზმრე, მერე სიზმარი ცხადად ამიხდა, შეპირაზადა! მე შენ გეძახი, მოდი, დავინწყო ტრფობა ახლიდან. გზა, შენ ჩემამდე რომ მოგიყვანდა, იყო გრძნეული, ფიცხი და შორი და ტორტმანებდა შენი ზღაპარი თვით სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. და ამღერებდი ჩემს წინ ვარსკვლავებს, მზესა და მთვარეს — ამ დიდებულებს, მერე გვეძინა ფირუზ ლამეში ზღაპრების სკივრზე თავმიდებულებს. როგორ ამეხსნა, აბა, მითხარი, რომ არ ვიყავი სულაც საშიში, რომ შენ იყავი ჩემი სიზმარი, ჩემი სიტყვი და ჩემი ჰაშიში. ახლა შენა თქვი, ვინ იყო მეფე და მე კი ვიტყვი, ყმა ვინ არი და ან ფუტკარივით რად ვსვამდი ნექტარს შენი ტუჩების ყვავილნარიდან... გამოგიტყდები, შეპირაზადა, დღეს ყველა სევდა რადგან ჩემშია, რომ ყველა ზღაპრის აციმციმებას ათასმეერთე ლამე მერჩია.



ვანყდები, თითქოს სევდის ტბის პირას ჩემი დარდების ტივი მიბია, როგორ აგიხსნა, ამ ვერცხლის მიღმა რა ნალველი და ტკივილებია?!

და მას აქეთ შენთანა ვარ, შენგან გაურთიყავი, კიდევ კარგი, ჩიტი ვიყავ და გველი არ ვიყავი...

გალაკტიონი ამთავრებს ამ ლექსს

იმ გაზაფხულის მწვანე ამინდებს მე ახლაც ჩემივით განცდებს ვავედრებ, როს შენს ტუჩებში ვმარხავდი კოცნებს — შემოილი სულის გიჟმაჟ ხავერდებს. და სალამური — სულში რომ სტვენდა, ველარ აღწევდა მშობელ ლერწმამდი, შენი სხეულის პლასტიკლინიდან მე ჩემი ვნების ოდს ვძერწავდი. ცაზე ვაფენდით იმედის აღმებს — ქარნაკრავ მზეთა ბელად ოლარებს და სიყმანვილის გაზაფხულიდან გრუქნიდი ლექსებს ფერადოვანებს. ახლა, როდესაც ლექსიც თეთრია ჩემი ჭაღარის ვერცხლის ძაფივით, მე გვეკითხები: — ნუთუ არ გესმის დაღლილი სულის უხმო ძახილი. მე გვეკითხები: — საით ნავიდნენ ჩვენი სტვენია რილო-ჭრილონი?! ან ამ ბინძური დროის ცელისგან რად ვართ უწყალოდ კვლავ დაჭრილები?! ...და თუკი მაინც ვერ მოგიტანო მე უკვდავების წყარო პეშვებით, არ დაიდარდო, როგორც არასდროს, „ჩვენ, პოეტები, ციდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლოვან აზარფეშებით პოეზიის და მზის სადღერძელს“.

ჭაღარა — ვერცხლი?

შენ ჩემს ჭაღარას დაარქვი ვერცხლი, ამბობ: — გიხდება და გალამაზებს. მე ამ დროს გულში მიღვივის ცეცხლი და შებინდებულ გულის დარბაზებს

სცისი, ნათლისმცემლის ტაძარი...

ნუხელ, როცა ქარმა აიკრიფა ფრთები, გულს შეცივდა, წამოიხსნა სისხლი, ვარსკვლავები ცაზე დაეკიდნენ თმებით და მერე კი მისხლივ ზამთრისპირის მიწას მოუძებნეს მკერდი და დილაზე კენკეს, ღრუბლის ნოხზე მთვარემ არ იცვალა გვერდი, იტიკივებდა ნეკნებს... და ნავიდა ლამე... და მოვიდა დილა გაბზარული ცრემლით, მერე ზეცამ წასცხო ნისლის თხელი ფთილა ტაძარს ნათლისმცემლის... ფასკუნჯების ფრთებზე ისვენებდა დილა, უსინჯავდა მზეს კლანჭებს და ტორებს... და მესმოდა სადღაც... კამარათა მხრიდან: — ნუთუ მიმატოვე?!.

უცაბადი პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იყავი წინა ცხოვრებაში

ვინ ვიყავი? — ქარი ვიყავ, ჩიტი ვიყავ მზენვია, მერე ერთ დღეს, უცაბედად სიყვარული მენვია. ფრთები ქარებს გავატანე, მინა დედად ვინამე, მერე სულში ჩავიბუდე მდებლობის სიმწვანე.

მაკვირვებს მაგ თვალთა ნათელი, სულის უცნაური მუქი, შენ მე გაზაფხული მაჩუქე, მე ჩემს შემოდგომას გჩუქნი. ვიცი, რომ ახლოა ზამთარი, მართალი რომა თქვას კაცმა, მე შენი გაზაფხული დავკრიფე, შენ ჩემს შემოდგომას ძარცვავ... ზამთრის ლამეები მაშინებს — უძილო ფიქრების ჩოხა, მე შენთან იებით მოვედი, შენ ჩემთან ვარდებით მოხვალ...

სურათი ჩემი სოფლის

ჯერ მზის სხივებზე კალთებს დაბარდნის თითქოს ფრთებსა შლის საფრენს მერე ღუნღულა იანაბადებს ჩაკაანთხევიში ჩაფენს ცა, რომლის იქით აღარც ვარსკვლავებს და არც მთვარეს აქვს ფასი, ჩაკაანთხევიში ყელს მოიღერებს ანგელოზების დასი. ქარი დამარცვლავს ფრთხილად ვარსკვლავებს — შელამების ცის ქარვებს, ყორანქედზე კი იასამნისფრად ამოგორდება მთვარე.

აღქმის უნარის მინიჭება ბათუ დანელიას პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლადაც შეიძლება ჩაითვალოს. მერე თვალშისაცემი თავისებურება რელიგიისთვის მისტიკისა და შეუცნობელის შემოცლისა და მისი ადამიანურ ემოციებზე გადმოთარგმნის, გადმოიწვინებს, ავტორის სუბიექტური განცდებითა და სუბიექტური შეფასებებით დატვირთვის ნიშნებია, სადაც ღმერთი დანახული და აღქმულია პოეტის გულისა და გონების გავლით, საკუთარ თავში და არა შეუცნობელ სინამდვილესა და რეალობაში, თუმცა, ეს არანაირად არ გულისხმობს თანამედროვე პოეზიაში ასე ფართოდ გავრცელებულ ფაშილარულ დამოკიდებულებას რელიგიური თემატისა და ზოგადად რელიგიისადმი. ალბათ, უფრო პირიქით — სიტყვა ღმერთის ყოველ ავტორისეულ დეფინიციაში, ან მისდამი მიმართვაში, თუ მისი შეცნობის დაუოკებელ სურვილში, საოცარი კრძალვა და სიყვარული იკითხება. გავიხსენოთ კრებულის პირველივე ლექსი სათაურით „ღმერთს“, სადაც უზუნაესი ძალა წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელსაც კონკრეტული ორგანოებიც კი აქვს, მთლიანობისა და უსასრულობის აღქმა რომ გაადვილდეს, აბსტრაქტულმა უსასრულობამ კი კონკრეტული სახე მიიღოს, მეტად საინტერესო ხერხია დამოყენებული — საგნების მასშტაბები და საზღვრები, სივრცე და კონტექსტი ერთდროულად შემცირებული და გაფართოებულია, რაც იმითაა მიღწეული, რომ ერთმანეთთან შეწყვილებულია ისეთი მნიშვნელობებისა და

ემოციური დატვირთვის მქონე სიტყვები, რომელთაგანაც ერთს კონკრეტული სახე და შემოსაზღვრული სივრცე აქვს, მეორე კი მხოლოდ აბსტრაქციას წარმოადგენს, შეწყვილებულ-შეკავშირებას თვისებათა ურთიერთგაცვლა მოსდევს. მაგალითად, „ვარსკვლავთა ვენახები“ — ციური სხეული „ვარსკვლავი“ და მისი სიმრავლე გალაქტიკაში სრულიად ყოფითი სიტყვა „ვენახითა“ შემოსაზღვრული, ასევე, სიტყვა ვენახიც ბევრად ტყვეადი და მრავალპლასტური ხდება, იმიტომ, რომ მისი საზღვრები და მნიშვნელობა ისეთი სიტყვითაა გაფართოებული, როგორცაა „ვარსკვლავი“. ავტორის ეს ხერხი განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ ისეთი აბსტრაქტული ცნების ვიზუალურად წარმოდგენისა და აღქმის საშუალებას გვაძლევს, როგორცაა უსასრულობა. პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაც სწორედ ეს არის — გააფართოვოს, გაამრავალფეროვნოს და გაამდიდროს მკითხველის თვალსაწიერი, წარმოდგენები და წარმოსახვა. მესამე თავისებურებას შეიძლება ძალიან მარტივად და პირობითად შემდეგი სახელი ვუწოდოთ — „თოვლი“. თოვლი, როგორც მუზა, როგორც მთავარი შთაგონების წყარო, როგორც ყოფიერების პოეზია და პოეტურ კრებულ „სიყვარული ბალასტიას“ ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო, საინტერესო და მრავალპლასტური მთავარი პერსონაჟი. ამის შემწინევა სარჩევისთვის ერთი თვალის გადავლებითაც შესაძლებელია, სადაც ლექსების დაახლოებით ერთი მესამედი სწორედ ამ ბუნე-

ბრივ მოვლენას ეძღვნება. აქ თოვლი წარმოდგენილია, როგორც ოცნება, სიხარული, ტკივილი, როგორც ავტორის შინაგანი ბუნების ვიზუალური და ვერბალური გამოხატვის საუკეთესო საშუალება. სიტყვის საზღვრები და სემანტიკური მნიშვნელობა იმდენად გაფართოებულია, რომ ერთგან მსგავსი შინაარსის სტრიქონსაც კი ვხვდებით: „მინა ღმერთის სამოსისფრად მწიფს, ანუ თოვს“. აქ თოვლი გვევლინება, როგორც ზოგადი მეტაფორა სიჩუმიის პოეზიისა, საიდანაც ტკივილის სულიდან ფურცელზე ამოკივლებას ნაკლებად უნდა ველოდოთ, რადგან აქ მთავარი სიფაქიზის, სინაზისა და სიყვარულის ამოკითხვაა, რომელიც ტკივილს ზუსტად ისევე გულისხმობს საკუთარ თავში, როგორც თოვლი სიცივესა და პოეზიას. ეს ყრუ ტკივილია, მკრთალ ხაზად რომ გასდევს თითოეულ ლექსს და დაახლოებით ისეთ ხმას გამოსცემს, როგორც თოვლის მუსიკა, რომელსაც უსასრულობის თაროებიდან თეთრი წიგნების წამოღების უნარიც კი შეუძენია პოეტის ხელში... თოვლის განცდა საკუთარ სულში იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ მასთან იდენტიფიცირებაც კი ხდება: „ხომ იციან, რომ ვარ თოვლის გიჟი, რომ ჩემს ხმასაც თოვლის სუნი სდის, ხან მგონია, თოვლისაგან ვიშვი, ხან მგონია, თვითონა ვარ ის“.

ბობს — ყველაზე ტკბილ მოგონებებშიც კი, ამავდროულად, ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის რეალობასთან, სადაც ადამიანი და ტკივილი, თითქოს, ერთმანეთს დაეკარგნენ. სწორედ ამიტომაც გაუცხოებული შემოქმედი რეალობასთან, სწორედ ამიტომ მიმართავს მეორე შემოქმედს: „რომ იცოდე, როგორ ფერებს გამოვსტყორცნით შიგნიდან გარეთ — შინაგნობიდან საშინელ გარესამყაროში, მაგრამ რად გინდა, მხოლოდ ცისარტყელის ფერთა დამნახავნი მაგ ფერებს როგორ დაინახავენ?!“ შემოქმედება ხომ ტკივილის გარეშე არ არსებობს და ვერც ვერასდროს იარსებებს?! ამიტომ, როცა პოეტობა გსურს, ან პოეტად დაიბადე და „როცა არ გტკივა, უნდა იტკინო რაიმე, რომ გაჭირვების მთავარი სიტყვა „ვაიმე“ არ დაივიწყო და უფალს უთხრა „ისევ შენი ვარ“ — არ უნდა უმტრო სატკივარს, კარგია, თუ დროს ტკივილის ბეჭდად ატყვიხარ.“ „სიყვარული ბალასტია“ არის კრებული დიდ, მაგრამ არა მკითხველისთვის თავსმოხვეულ ტკივილზე, ტკივილზე, რომლითაც არასდროს არავინ სპეკულირებს, მაგრამ ერთი რამ აშკარად იგრძნობა, ავტორი ბედნიერი სწორედ მაშინაა, როცა დამწუხრებულია, როცა ტკივილი სულის თოვლში ღრმადაა ჩამარხული და როცა თოვლს მისი ნაფეხურები ღრმად ატყვია.

პაატა ნაცვლიშვილი

„მოგზაურობა ევროპაში 300 წლის შემდეგ“ — ასე ჰქვია პროექტს, რომელიც იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის 1714-1715 წლების ევროპულ მარშრუტს და აცოცხლებს მის ცნობილ ტექსტს „მოგზაურობა ევროპაში“.

„ამ პროექტის ხორციელების მიზანმიმართულად, კიდევ ერთხელ დავუდასტურებ ევროპას, ზოგადად დასავლეთს, ქართველი ხალხის არჩევანი და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, წარმოვაჩინოთ ამ არჩევანის ისტორიული ფესვები, ერთი მხრივ, და მისი მნიშვნელობა და აქტუალობა, მეორე მხრივ“.


— მინდა, გთხოვოთ, ორივე სიტყვა გვითხრათ სულხან-საბას მოგზაურობის მნიშვნელობაზე.

— სულხან-საბა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. 300 წლის წინათ ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის მიერ განხორციელებული მოგზაურობა საქართველოს ევროპული ორიენტაციის უაღრესად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო გამოვლინება იყო.

— თქვენს პროექტს საფუძვლად უდევს წერილობითი წყარო, რომელსაც საუკეთესოდ იცნობთ. „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის პირველი ნიმუშად სახელდება.



მოგზაურობის დასაწყისი პარიზში (ბონდო ქურდაძესთან ერთად).



— ევროპული მისიის კვლადკვალ დღიურების სახით შექმნილი „მოგზაურობა ევროპაში“ უაღრესად საყურადღებო ტექსტია არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით და არც მხოლოდ იმიტომ, რომ ჟურნალისტიკისა და დიპლომატიკის დიდებული ძეგლია — იგი ვახლავთ ერთგვარი პოლიტიკური მანიფესტი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

— დიას, წიგნის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი მამინდელ იტალიაში შესვლით, ანუ დღევანდელი ფრანგული რივიერიდან იწყება და ანტიბიდან მოყოლებული, ტექსტში ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი.

წინ საგანგებოდ გამოცემულ ოთხენოვან ბუკლეთში რომ არის წარმოდგენილი.

სულხან-საბას გზის გავლა პაატა ნაცვლიშვილის დიდი ხნის ოცნებაა. დაახლოებით 25 წლის წინ შეუდგა დიდი წინაპრის ცნობილი ნაწარმოების საფუძვლიან შესწავლას და თავის სადისერტაციო ნაშრომს, რომელშიც ქართული ჟურნალისტიკის გენეზისი გამოიკვლია, საფუძვლად დაუდო სწორედ „მოგზაურობა ევროპაში“ — მისი თქმით, პირველი ქართული ჟურნალისტიკური ტექსტი. კვლევა წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გაცნობისთანავე დაინტერესდა პროექტით. ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებამ, ასოციაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ აქტუალურობა შემატა პროექტს, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურები უნივერსიტეტის ინიციატივას არ გამოხმაურებინან და, საბოლოოდ, პროექტის განხორციელების მთელი სიმძიმე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა იტვირთა.

„ მოგზაურობას გაზაფხულზე რომიდან ბავაბრძელებ“

დღიური ჩვენამდე ნაკლები სახით არის მოღწეული, დაკარგულია მისი პირველი ნაწილი, რომელშიც საფრანგეთში მოგზაურობა უნდა ყოფილიყო აღწერილი და შემორჩენილია თხზულების მხოლოდ მეორე ნახევარი, იტალიას, მალტასა და თურქეთს რომ ეხება. სათაურიც — „მოგზაურობა ევროპაში“, გვიანდელი და პირობითია. შემორჩენილი ნაწილის სათაურად უფრო „მოგზაურობა იტალიაში“ გამოდგებოდა, რადგან ძირითადად სწორედ იმ ქვეყანას ეხება და თანაც იმდენად დეტალურადაა აღწერილი იტალიის ქალაქები, ხუროთმოძღვრების ძეგლები თუ მოვლენები, რომ ქართველზე არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს იტალიელი მკითხველისთვის.

— როგორც ვიცით, პროექტის მიზანი იყო მარშრუტის როგორც გეოგრაფიული, ისე კალენდარული რეკონსტრუქცია-გამეორება. როგორ მოხერხდა ეს საფრანგეთის შემთხვევაში? სულხან-საბას წიგნი ხომ იტალიაში შესვლით იწყება?

— დიას, წიგნის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი მამინდელ იტალიაში შესვლით, ანუ დღევანდელი ფრანგული რივიერიდან იწყება და ანტიბიდან მოყოლებული, ტექსტში ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი. ხოლო მარშრუტის კალენდარული გამეორება ჩვენ მხოლოდ ანტიბ-რომის მონაკვეთზე დავისახეთ მიზნად და მართლაც, საბასეული ტანტიბ-ქალაქიდან 15 ივნისს გასულაბი ზუსტად 29 ივნისს შევედით რომში, სწორედ იმ დღეს, როცა საბა შევიდა 300 წლის წინათ. რომში საბა 50 დღე დარჩა, მალტაზე მთელი თვე გაატარა, კონსტანტინეპოლში კი სულაც 17 თვე დაჰყო.



ნავლეს იმდროინდელი უცხოური წყაროები — პრესა თუ ოფიციალური მიმოწერა და ალადაგინეს სულხან-საბას საფრანგეთში გადაადგილებისა თუ შეხვედრების მეტნაკლებად სრული სურათი. მეცნიერთა მიერ გამოვლენილ მასალებზე დაყრდნობით დავის დონდუამ და კობა ხარაძემ დააზუსტეს მოგზაურობის გეოგრაფიული ასპექტები. ჩვენ ძირითადად სწორედ კობა ხარაძის მიერ დადგენილი მარშრუტს მივყევით. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გახეთის მეშვეობით პროფესორ კობა ხარაძესთან ერთად კიდევ ერთხელ ვუთხრა მადლობა საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკის“ ხელმძღვანელს გიორგი გოცირიძეს და კარტოგრაფ თინა ჯანელიძეს.

— საინტერესოა, რამდენად სრულად ახერხებთ საბასეული ადგილების მონახულებას და იმ ადამიანების პოლიტიკურ მემკვიდრეებთან შეხვედრას, ვისაც ქართველი დიპლომატი ხვდებოდა 300 წლის წინათ. ვინ და როგორ მონანილებოდა პროექტში? ვინ და როგორ გეხმარება?

— პარიზი-რომის მონაკვეთზე მაქსიმალურად სრულად მოვიხილეთ საბას მიერ ნაწილი თუ აღწერილი ადგილები, ქალაქები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები. გვექონდა მეტად საინტერესო შეხვედრები, შეძლებისდაგვარად გამოვავლინეთ დღემდე უცნობი ფაქტები. ბევრ რამეს ფეისბუქვერზე მოგზაურობის პარალელურად ვაქვეყნებდით, ბევრიც ჩვენთვის დავითვით, იმ წიგნისა თუ ფილმისთვის, პროექტის დასასრულს რომ წარუდგინოთ საზოგადოებას. მოგზაურობის ამბები გაგრძელებებით იბეჭდებოდა გახეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. პროექტში, ჩვენი უნივერსიტეტის კოლეგებთან ერთად, პირველივე დღიდან ჩართულები არიან ქართველი ემიგრანტებიც. მოგზაურობის პირველი ეტაპი პარიზში მცხოვრებ ცნობილ ქართველ ჟურნალისტთან, ბონდო ქურდაძესთან ერთად გავიარეთ, პარიზსა და ვერსალში ჩვენი მასპინძელი და თანამგზავრი იყო აგრეთვე პაატა ხარაძის შვილი. ნიცა-მენტონის მონაკვეთზე კი შემოგვიერთდა ქართველი მწერალი გელა პატიავილი, რომელიც დღეს ნიცაში ცხოვრობს. საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია სულ უფრო მეტი ადამიანის ჩართულობა. ერთი მხრივ, ეს გვიმსუბუქებს გზას, მეორე მხრივ, გაცილებით მასშტაბურს ხდის მოგზაურობას.



დღე პირველი

ივა ფეხუაშვილი. „ვცადე“. კრებული აერთიანებს ხუთ მოთხრობას — „ცა“, „მამაჩემი“, „ალჩუ“, „მარტივი მატემატიკა“ და „კაია“.

გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარმა რედაქტორმა ზვიად კვარაცხელიამ კი, რომელმაც კვირეული სწორედ ამ კრებულის წარდგინებით გახსნა, წიგნს ბოლო წლების ქართული ლიტერატურის ყველაზე გამორჩეული სადებიუტო კრებულის უწოდა.

საღამოზე აჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმიც, რომელიც ივა ფეხუაშვილის მოთხრობის — „ალჩუს“ მიხედვით კომპანია „ჯეოსის“ პროექტის ფარგლებში გადაღებულია.



დღე მეორე

ლადო კილასონია. „ბრონქსური ისტორია ოქროსუბნურად“.

ახალგაზრდა მწერალი, რაგბისტი — ასე წარადგინა ზვიად კვარაცხელიამ წიგნის ავტორი კვირეულის პირველ დღეს. მეორე დღეს კი თავად ლადო კილასონიამ საინტერესოდ ისაუბრა საკუთარ თავსა და შემოქმედებით სამყაროზე.

პრეზენტაციის ოფიციალური ნაწილი მალე დასრულდა. ავტორმა სტუმრები, როგორც თავად აღნიშნა, კარგ ღვინოზე მიიპატიჟა. დარბაზიც სწრაფად და მხიარულად დაცარიელდა.



„ინტელექტი“ წარმოგიდგინო

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვირეული

რამდენიმე დღის წინათ მწერალთა სახლმა გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექტს — თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვირეული უმასპინძლა.

ყიფშიძეზე. ფანჯარასთან იდგა. რავი, ახლა აღარ მახსოვს, რა ამბავი იყო. ალბათ, ჰონორარზე ვიყავით მისულები. იმავე „ლიტერატურული გაზეთის“ ფოტოდან ვიცანი. ლადოს მოთხრობები მომეწონა და ფოტოც იმიტომ დამამახსოვრდა.



დღე მესამე

ბექა ქურხული. „ღია კარის ქვეყანა“.

„ბექა ქურხულის ახალ წიგნში თავმოყრილი ესსეები, ბლოგები და წერილები ჩვენი უახლესი წარსულის გარდამტეხი საბედისწერო მოვლენების რეტროსპექტივაა.

ზვიად კვარაცხელიამ კრებულიდან ერთი მოთხრობა წაიკითხა, რომელიც თან-

ამედროვე ქართველ მწერალ, ბექა ქურხულის მეგობარ ბაჩო კვირტიასა და მის ცნობილ ტექსტზე: „ბექას ამ მოთხრობაში ყველა ჟანრი და ლიტერატურული მიმართულება ოსტატურადაა შერწყმული.

„90-იანების მემბრანის“ იდეას გაგა ნახუცრიშვილიც გამოეხმაურა. გაიხსენა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი, ყველაზე პირუთენელი და სინდისიერი ავტორი, ჟამთააღმწერელი და — დაე, ბექა ქურხული გასული საუკუნის მინურული ჟამთააღმწერელი იყოსო.



დღე მეოთხე

პაატა შამუგია. „შიზოგადობა“.

პაატა შამუგიას ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია თბილისის საახალწლო წიგნის ფესტივალზე შედგა. მას შემდეგ ავტორმა და გამომცემლობამ კრებულზე უფრო დეტალურად ისაუბრეს.

ზვიად კვარაცხელიამ კიდევ ერთხელ მიულოცა ავტორს ახალი კრებული: „ავტორისა და რედაქტორის სასახელოდ მიწა ვთქვა, რომ კრებული მართლაც ძალიან კარგად არის შედგენილი, არაჩვეულებრივადაა გააზრებული მისი კომპოზიცია, ეს ნაკლებადაა დამახასიათებელი პოეტური კრებულებისთვის, წიგნის კითხვა ნებისმიერი გვერდიდან, ნებისმიერი ლექსიდან შეგიძლია, დანიყო, „შიზოგა-

დობა“ კი ისეა აგებული, მასში იმგვარადაა წარმოდგენილი ლექსები, რომლებსაც პაატა წლების განმავლობაში ლიტერატურულ პერიოდიკასა თუ სოციალურ ქსელებში აქვეყნებდა, რომ მთელი წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

კრებულის უკანა ყდაზე კი აი, რას წაიკითხავთ: „შიზოგადობა“ ავტორის წინა კრებულებისგან თვისობრივად განსხვავებულია, ამ განსხვავებას მკითხველი თავად ნახავს, როცა წაიკითხავს და შიზოგადობის სრულყოფილებიან ნევროზს მოიპოვებს“.



დღე მესამე

ეკა ქვეანიშვილი. „ლიტერატურული Profile“.

სიმბოლური იყო, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვირეული ეკა ქვეანიშვილის წიგნის პრეზენტაციით დასრულდა — კრებული, „ლიტერატურული Profile“ თავად არის ქართველი ავტორების გალერეა, ერთგვარი სურათი მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და შემოქმედებითი ცხოვრების. წიგნში თანამედროვე ავტორების გარდა, ძველი თაობის კალმოსნებიც არიან წარმოდგენილი. ისინი ყველაზე საკუთარ თავზე, შემოქმედებაზე, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებზე და მკითხველის თვალწინ თანდათან წარმოდგება ვრცელი ლიტერატურული სამყარო, ეკლექტური სივრცე სხვადასხვა თაობის, ჟანრის, მიმართულების, გემოვნების მწერლობისა.

საღამო საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უჩვეულო იმიტომაც იყო, რომ დარბაზში ისხდნენ წიგნის „პერსონაჟები“ — შოთა იათაშვილი, ნატო ინგოროყვა, შალვა ბაკურაძე, მაცა ლდოკონიძე და სხვები — სწორედ ისინი საუბრობდნენ წიგნსა და მის ავტორზე. ზვიად კვარაცხელია მათ ანბანის მიხედვით „იძახებდა“, ვინაიდან კრებულშიც სწორედ ამ პრინციპით არიან წარმოდგენილი. კრებული ორმოც ავტორს აერთიანებს. წიგნს ერთვის პირთა საძიებელიც, სადაც არა მხოლოდ იმ ავტორებს შეხვდებით, ვისი პროფაილიც კრებულში შევიდა, არამედ იმ მწერლებსაც, რომლებზეც ისინი საუბრობენ.

წიგნის ანოტაციიდან ვიგებთ, როგორ შეიქმნა კრებული: „ეკა ქვეანიშვილმა რამდენიმე წლის წინ სრულიად სპონტანურად ლიტერატურულ ფორუმზე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ლიტერატურული პორტრეტებისა და პროფაილების გამოქვეყნება დაიწყო. ერთ-ერთი მუშაობდა, უდელაინოდ, ავტორებს თავად არჩევდა. ერთ ავტორს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. შემდეგ ამ პრეფაილებმა და დიალოგების სერიამ ჟურნალში — „არილი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ახალი საუნჯე“ — გადაინაცვლა. ასე დაგროვდა სხვადასხვა თაობისა და მიმართულების ავტორთა შესახებ წერილები, რომლებიც წიგნშია თავმოყრილი“.

ასე დასრულდა „ინტელექტის“ კვირეული. ამ კრებულის „გამირები“ და კვირეულზე წარმოდგენილი ავტორები წერას აგრძელებენ. მათი შემოქმედებითი ცხოვრება კი აისახება იმ წიგნებში, რომლებსაც გამომცემლები ჩვენამდე მოიტანენ.

მომზადდა თამარ ჟურნალმა

„ლიტერატურული გაზეთის“ გამონერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ჟურნალი
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com